საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/89 " 5 " თებერვალი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 69-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის დაწესებისა და მოსამართლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესს.

2. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაუწესდეთ თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი.

3. გარდა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატისა, მოსამართლეს, კონკრეტული მოსამართლის (სასამართლოს) დატვირთულობის, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა სტაჟირების კოორდინატორობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მიეცეს დანამატი.

4. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, მოსამართლეს ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატი მიეცემა სამსახურებრივი ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდის ჩათვლით.

5. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს, მისთვის დაწესებული დანამატის ნაცვლად, ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისათვის დაწესებული დანამატის ოდენობით, თუ ასეთი დანამატის ოდენობა აღემატება მოსამართლის დანამატის ოდენობას იმ სასამართლოში, რომელშიც იგი კანონით დადგენილი წესით არის დანიშნული.

6. გადაწყვეტილებას რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების იმ მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელთაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილას არ აქვთ საცხოვრებელი ბინა, იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ადგენს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ზღვრულ ოდენობას.

8. ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული დანამატის და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება წლიური საბიუჯეტო კანონით საერთო სასამართლოებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

9. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილება.

10. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი